ირინე ჟვანია - ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თამარ აბაშიძე - ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თამარ მახარაძე - საჯარო პოლიტიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათ ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანასტასია ქიტიაშვილი - ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტების ინკლუზიურობის ხარისხის გაუმჯობესება - ძირითადი რეკომენდაციები

კვლევა ეფუძნება 2021-2023 წლებში განხორციელებული პროექტის - ,,მასწავლებლები ინკლუზიური განათლების მხარდასაჭერად“ - შედეგებს. პროექტი დაფინანსებული იყო შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ (№FR-21-3869) და ემსახურებოდა ახალი ცოდნის შექმნას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს ორგანიზებული გარემო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ყველასთვის ხელმისაწვდომი ხარისხიანი განათლებისა და ინკლუზიური საუნივერსიტეტო სივრცის უზრუნველსაყოფად.

კვლევა განხორციელდა საქართველოს ოთხ სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ, ბსუ, აწსუ, თესაუ) და აჩვენა, რომ ინკლუზიური განათლების ხარისხისა და ინკლუზიური გარემოს მიხედვით სამიზნე უნივერსიტეტები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მონაცემების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები საუნივერსიტეტო გარემოს ინკლუზიურობის გაუმჯობესების ხელშესაწყობად.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტების სტუდენტებმა, აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა. კვლევა განხორციელდა შერეული მეთოდების გამოყენებით. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხვა ჩატარდა სტუდენტებთან და ეხებოდა იმას, თუ როგორ აღიქვამენ და აფასებენ სტუდენტები საკუთარი უნივერსიტეტის ინკლუზიურობის ხარისხს. თვისებრივი კვლევის ფარგლებში აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მოსაზრებების საკვლევდა ჩატრადა პირისპირ ინტერვიუები, ხოლო სსსმ სტუდენტების შეხედულებების დასადგენად - ფოკუს ჯგუფები. კვლევაში გამოყენებული ინსტრუმენტები ეფუძნება საერთაშორისო ინსტრუმენტს - ინკლუზიის ინდექსს (Booth and Ainscow, 2016), რომელიც სამ ძირითად სფეროს ეხება: ინკლუზიური კულტურის განვითარებას, ინკლუზიური პოლიტიკის შექმნასა და ინკლუზიური პრაქტიკის დანერგვას.

მიღებული მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ სტუდენტები თავიანთ უნივერსიტეტებში არსებულ ინკლუზიურ გარემოს საკმაოდ დადებითად აფასებენ და მიჩნიათ, რომ სასწავლო პროცესი მათ უნივერსიტეტში ყველასთვის ხელმისაწვდომია. თუმცა, რესპონდენტებს მთელ რიგ კითხვებზე გაუჭირდათ პასუხის გაცემა. თუმცა რაოდენობრივ კვლევაში დაფიქსირებული სტუდენტების დამოკიდებულებები და შეფასებები, მნიშვნელოვნად განსხვავდება შშმ სტუდენტების მიერ თვისებრივ კვლევაში გამოხატული მოსაზრებებისაგან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სასწავლო პროცესში მხოლოდ ნაწილობრივ არიან ჩართულნი, მათი საჭიროებები ნაკლებად არის გათვალისწინებული, მათი სწავლა ოჯახებისგან გაცილებით მეტ ძალისხმევას მოითხოვს და ა.შ. აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ისინი მიმღებლობას ამჟღავნებენ ზოგადად, ინკლუზიური განათლების მიმართ, თუმცა, უმრავლესობას შშმ სტუდენტებთან კომუნიკაციისა და სწავლების გამოცდილება ნაკლებად აქვს, იკვეთება პოზიტიური დისკრიმინაციის შემთხვევები და ა.შ.

ძირითადი დასკვნების გათვალისწინებით, უნივერსიტეტებში ინკლუზიური განათლებისა და ინკლუზიური გარემოს გაუმჯობესების მიზნით, შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები: დეტალური სამოქმედო გეგმისა და მაკოორდინირებელი სტრუქტურული ერთეულის შექმნა; სსსმ სტუდენტებისა და მათი საჭიროებების იდენტიფიკაციის სისტემის განვითარება; სსსმ სტუდენტების სასწავლო პროცესში ეფექტურად ჩართვისა და მონაწილეობის უზრუნველყოფა; მათი უზრუნველყოფა საჭირო სასწავლო მასალითა და ტექნოლოგიებით; ფიზიკური სივრცის ადაპტირება შშმ პირებისათვის, თანამშრომლობა დაინტერესებულ ჯგუფებსა და ორგანიზაციებთან.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიური საუნივერსიტეტო გარემო, ინკლუზიურობის ინდექსი, ინკლუზიური განათლება, შშმ და სსსმ სტუდენტები

Irine Zhvania - Doctor of Psychology, Associate Professor, Faculty of Psychology and Educational Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tamar Abashidze - Doctor of Psychology, Associate Professor, Faculty of Psychology and Educational Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tamar Makharadze - Doctor of Public Policy, Associate Professor, Faculty of Social and Political Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Anastasia Kitiashvili - Doctor of Psychology, Professor, Faculty of Psychology and Educational Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Improving the Quality of Inclusivity in Universities - Key Recommendations

The research is based on the results of the project "Teachers for Inclusive Education," conducted in 2021-2023. The project was funded by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (№FR-21-3869) and aimed to generate new knowledge about how the environment and study process should be organized in a higher educational institution to ensure quality education and an inclusive university space accessible to everyone. The research was conducted in four state universities of Georgia (TSU, BSU, ATSU, TESAU). Based on the analysis of data recommendations were prepared for the promotion of inclusive education and the improvement of inclusiveness of the university environment.

University students, academic and administrative staff participated in the research. It was conducted using mixed methods. The quantitative research involved a survey of students regarding their perceptions of the degree of inclusiveness of their university. The qualitative research included face-to-face interviews with academic and administrative personnel and focus groups to study the perspectives of students with special educational needs (SEN). The instruments used in the research were based on the international instrument - Inclusion Index (Booth and Ainscow, 2016), which addresses three main areas: developing an inclusive culture, creating inclusive policies, and implementing inclusive practices.

The research showed that the target universities do not significantly differ from each other in terms of the quality of inclusive education and the inclusivity of the environment. The collected data indicates that students generally evaluate the inclusive environment in their universities quite positively and believe that the educational process is accessible to everyone. It is noteworthy that SEN students mentioned that they are only partially involved in the educational process, their needs are less considered in planning, their studies require much more effort from their families, etc. Interviews with academic and administrative personnel showed that they are receptive to inclusive education in general. However, most have little experience communicating and teaching SEN students. There is no professional supervision for working with SEN students and no structural unit coordinating the organization of the educational process for SEN individuals in universities.

Based on the main conclusions, the several recommendations were developed to improve inclusive education and the inclusive environment in universities.

Keywords: inclusive education, index for inclusion, inclusive environment in universities, students with special educational needs and disability (SEND).